

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი  
რეფინანსირების განაკვეთის ზრდის ანალიტიკა, მისი ზეგავლენა  
საბანკო სექტორზე, საბანკო პროდუქტების მომხმარებელზე

ქეთევანი ცაავა  
ნელი აბაზაშვილი  
ეკა ხახუტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნეს სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების  
(ფინანსები და საბანკო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროექტის ხელმძღვანელი: მელიქიძე მაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2016)

## განაცხადი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მითითებული ავტორების ნამუშავევარს, რომელიც არ მოიცავს უკვე გამოქვეყნებულ სხვის საკუთარ მასალას, ცოტირების ან სათანადო წესების დაცვის გარეშე.

ნელი აბაზაშვილი

ქეთევან ცაავა

ეკა ხახუტაშვილი

20.06.2016

## აბსტრაქტი

2008 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეროვნული ბანკი, წარმატებით ანხორციელებს მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ისტრუმენტის რეფინანსირების განაკვეთის მოქმედებას, ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. თუმცა გასულ წლებთან შედარებით, ბოლო პერიოდში განაკვეთი 100 პროცენტით იზრდება და შორდება მიზნობრივ მაჩვენებელს (5-6%). რაც არცთუ ისე სახარბიელოა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. იზრდება ასევე გარე შოკები, ინფლაციის მაჩვენებელი, რაც სწორედ მონეტარული განაკვეთის ცვლილებას იწვევს. საბოლოო ჯამში კი, იცვლება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. **პროექტის მიზანს** წარმოადგენას რეფინანსირების განაკვეთის განსაკუთრებული მნიშვნელობის დადგენა, როგორც ფინანსური სტაბილურობის გარანტის. ასევე მისი ცვლილების გამომწვევი მიზეზების დადგენა და სწორედ ამ ფაქტორებით გამოწვეული დადებითი, თუ უარყოფითი შედეგების გაანალიზება.

**პროექტის მთავარ საკვლევ კითხვას წარმოადგენს;** როგორ მოქმედებს რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება უშუალოდ საბანკო სექტორზე და მის მომხმარებლებზე?

ნაშრომი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და ამ ჭრილში განიხილავს კონკრეტული ქვეყნის- საქართველოს შემთხვევას. კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხის აღება ხშირ შემთხვევაში სარისკოა. მისმა ზრდამ წლების განმავლობაში დააზარალა, როგორც საბანკო სექტორის მომხმარებლები, გაუძვირა მათ გადასახდელი პროცენტი და სამომხმარებლო ხარჯი, ასევე მეტნაკლებად ბანკებიც-გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხები, შემცირდა დაკრედიტება და მეტი კონტროლი გახდა საჭირო ლიკვიდობის შესანარჩუნებლად მათ მხრიდან.

**საძიებო სიტყვები;** რეფინანსირების განაკვეთი, გარე შოკები, ინფლაციის მაჩვენებელი, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხი.

## მადლობა

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ჩვენს აკადემიურ ხელმძღვანელს მაია მელიქიძეს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული მნიშვნელოვანი დახმარებისთვის, რაც გამოიხატებოდა მუშაობის ყველა ეტაპზე, კრიტიკული მოსაზრებებით, რეკომენდაციებითა თუ სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფაში.

მადლობას ვუხდით არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკებს“ და მის დამფუძნებელს გიორგი კეპულაძეს და მთლიან ჯგუფს მოწოდებული ინფორმაციისთვის და დახმარებისთვის.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში მიიღო მონაწილეობა.